# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . | 3 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 176
წელიწადი მეორე
1913

შაბათი, 26 ოკტომბ.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

# იმერეთი

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „И М Е Р Е Т И“
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


22-ს ამა ოკტომბერს უეცრათ გარდაიცვალა

## ვასილ საჩინოს ძე ბარათაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმათ შეწუხებულნი ქვრივი მისი პუპი დიმიტრის ასული, შვილები აგრიპინა იშხნელისა, ალექსანდრე მეუღლით, მიხეილ და ნიდიტორ ბარათაშვილები,—ძმა გრიგოლ ბარათაშვილი, მეუღლე მისი ელისაბედ ბარათაშვილისა და სიძე ვლადიმერ იშხნელი. დაკრძალვა მოხდება სოფ. ნიგოზეთში, კვირის, 27 ამა ოკტომბერს.


## ...გამოცდილი მასწავლებელი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე

...ადებს და ამეორებიებს საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურ...საც) ქართულსა დ რუსულ ენებს, ლიტერატურასა დ ისტორიას.

...ვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა

...ამოსამართლო საქმეების შესახებ.

...წავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს ...7 საათამდი. ფერმის ქუჩა, სახლი დგ. კახუთელიძისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.


## ...კვირას, 27 ოკტომბერს, დღის 12 საათზე,

...აისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქუთაისის საქველმოქმედო

## ...საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება,

...მელსაც განსახილველი აქვს: 1) საზოგადოების კომიტეტის ...მედების ანგარიში 1905 წლიდან 1913 წლამდი; 2) სარევიზიო ...მისიის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ; 3) კომი...ტის მოხსენება საზოგადოების ადგილის გაყიდვის შესახებ და საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა,


## ქ უ თ ა ი ს ი

...ირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**...ილით.**

| | |
|---|---|
| ...ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. . . . | 8—10 |
| ...ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ...რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| ...ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| ...ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | $12^1/_2$ 2 |

**...ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| ...ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ...ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

...ნალოსიან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარ...ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, ...914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფე...და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორი... 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.


## ქუთაისის ქალაქის თეატრი.

კვირას, 27 ოკტომბერს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თაოსნობით გაიმართება ჩვეულებრივი

## ილიას საღამო

წარმოდგენილ იქნება ილია ჭავჭავაძის

## „კაცია ადამიანი“.

ქ. ქ. ელ. ჩერქეზიშვილისა, ეპიტაშვილის ასულისა და ბ. ბ. ყალაბეგიშვილისა და ციციშვილის მონაწილეობით. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ: ელენე ხელთუფლიშვილისა; კიტა აბაშიძე; კლასიკური მუსიკის ხალხში გამავრცელებელი—ილიკო ქურხული; ცნობილი ვიოლონჩელისტი კოპელნიცკი ქალბატონი ციციშვილის აკომპანიმენტით და ქუთაისის მომღერალთა გუნდი.
სცენის ფონზე ნაჩვენები იქნება **ილიას ძეგლი** მთაწმიდაზე ცოცხალი სურათით.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

## დღეს, 26 ოკტომ. ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტი

გამართავს იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:

## ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი.

დრ. 4 მოქ. ჩირიკოვისა.

წარმოდგენაში სცენის მოყვარეთა შორის მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი გ. ბალანჩივაძე, გ. თუთბერიძე, დ. ჩარკვიანი და ნემო.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. **ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

კინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

## პაროსი

| | | |
|---|---|---|
| 25 | ცალი | 3 შ. |
| 10 | — | 6 კ. |

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

## „დელი-ბაბ“

**10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ.** იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

## პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაკტერიოლოგიური გამორკვევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.

**აქიმი** **ი. ჩარექოვი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს **ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

**მ. გალანჩივაძისამ**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც.
გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**აქიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი, ვენერიული, კანის)** ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

## ღამე ზესტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**ა ქ ი მ ი** **გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმმა** **ბ. ა. მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი** **დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** **ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.


## სახელმწიფო სათათბირო.

**23 ოკტომბრის საღამოს სხდომა.**

საღამოს სხდომას თავჯდომარეობს **როძიანკო.** შემოსულ საქმეთა შორის არის საკანონმდებლო წინადადება საფოშტო დაწესებულებათა ბიუჯეტის გადიდების შესახებ. იხილვენ მოსკოვის პოლიციის უკანონო მოქმედების შესახებ შეკითხვას. მოსკოვის პოლიციას წინააღმდეგ კანონისა რამდენიმე კრება დაუხურავს. ლაპარაკობს **ტულიაკოვი:** ორატორი აღნიშნავს, თუ როგორ არღვევენ სიტყვისა და კრების თავისუფლებას. **მარკოვ მეორე:** რუსეთის მცხოვრებთ უნდათ ცხოვრების გაიაფება და არა რაღაც თავისუფლება. ღარიბი კმაყოფილია თავის შრომითაც. თავისუფლებით ის მაინც ვერისარგებლებს. თავისუფლებით ისევ მისი ბატონები ისარგებლებენ. ვერ ისარგებლებენ ამით ვერც ის ბატონები, რომელთაც ქარხნები აქვთ. თანამედროვე თავხედები მოითხოვენ, რომ მათ ყველაფრის ნებართვა მიეცესთ, უნდათ, რომ მთავრობა გულზე ხელდაკრეფილი უცქერდეს იმ კრებებს, სადაც სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაპარაკობენ. ნოქართა კრებამ იმაზე არ იმსჯელა, რაზეც უნდა ემსჯელა და დახურვაც ამან გამოიწვიაო. ორატორი შემდეგ ეხება „რუსკია ვედომოსტის“ ბანკეტის დროს მომხდარ ინცინდენტს. აღნიშნავს—ბანკეტის დახურვა ებრაელისგან მიღებულმა

დეპეშის წაკითხვამ გამოიწვიაო. (მარცხნით ხმაურობაა, ყვირიან: კმარა, კმარა!) თავჯდომარე ორატორს შენიშვნას აძლევს. ბადაევი. ჩამოთვლის იმ კრებებს, რომელიც დახურა მთავრობამ, ეხება ნოქართა და მუშათა კრების ბედს. ამბობს: პოლიციასთან შეუტაკებლათ მუშათა არც ერთი კრება არ დასრულებულა. მუშების ფიქრი პოლიტიკური კრების ნებართვაზე ამაოა. რაც შეეხება კავშირების კრებას ამის უფლება აქვს და ეს უნდა მოიპოვოს კიდეც 166 ხმით წინააღმდეგ 110 ხმისა შეკითხვას ღებულობენ. მსჯელობენ შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ შეკითხვის სასწრაფოთ მიღების შესახებ. შეკითხვაში აღნიშნულია ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება ზოგიერთი ორგანოების მიმართ. შეკითხვის სასწრაფოთ მიღებას მხარს უჭერს კერენსკი და ამბობს: მუშათა და გლეხთა პრესას საშვალება არ აქვს დღევანდელ მდგომარეობას თავი დააწიოს. კერენსკის მოყავს სტატისტიკა სოც.-დემოკრატიულ და მუშათა გაზეთების კონფისკაციისა და აღნიშნავს—ამის მიზეზი ადმინისტრაციის მოქმედებააო, რასაც კანონის დარღვევათ სთვლის. ორატორი შემდეგ მიმართავს სათათბიროს ლიბერალურ ნაწილს და მოუწოდებს სიტყვის თავისუფლების დაცვას. ეხება ვარშავაში ებრაელთა გაზეთის დახურვას. გაზეთს ბრალათ ედებოდა მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე ამხედრება. „ზემშჩინა“ და სხვა გაზეთები ამ მხრით კიდევ უფრო შორს მიდიან და ისინი ყოველდღე სწერენ მცხოვრებთა ერთი ნაწილის წინააღმდეგ, გამოდის, რომ ერთს უკრძალევენ მას, რაც მეორისათვის ნებადართულია. ორატორი ეხება ბეილისის საქმეს. თავჯდომარე სთხოვს, ბეილისის საქმეს ნუ შეეხებითო. ორატორს რამდენჯერმე მოუწოდებს წესიერებისკენ, ბოლოს სიტყვის თქმის უფლებასაც უკრძალავს.

პურიშკევიჩი. უარყოფს შეკითხვის სისწრაფეს ის ამბობს: 17 ოკტომბრის მანიფესტმა უზრუნველყო რუსეთში სამოქალაქო თავისუფლების ევოლუციონური გზით განვითარება. რევოლუციონურმა წრეებმა შეკრების თავისუფლება მიტინგებათ გადააქციეს. აგრეთვე ისარგებლეს სიტყვის თავისუფლებით და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებისთვის მოუწოდეს. ასეთ პირობებში სხვანაირათ მოქმედება შეუძლებელია, თუ არა ბრძოლა ზოგიერთ ორგანოსთან. გაზეთების საშვალებით რევოლუციონერები ცდილობენ რუსეთში ანარქია გაამეფონ, მთავრობამ შემოიტანა პრესის შესახებ კანონპროექტი. სათათბიროს საშვალება აქვს ის ისე შეამუშაოს, რომ საზოგადოების უმეტესობის სურვილს ეთანხმებოდეს.

კერენსკი. ეხება ბეილისის საქმეს და აცხადებს: სათათბირომაც უნდა განაცხადოს პროტესტი ამ საშვალო საუკუნეების ლეგენდის შესახებ. თავჯდომარე სთხოვს ორატორს—ბეილისის საქმეს ნუ ეხებიო.

კერენსკი. რუსეთის დემოკრატიის სახელით სათათბიროდან კიევის პროცესის გამო პროტესტს აცხადებს. დემოკრატია მოიმოქმედებს ყოველივეს, რომ ბეილისის საქმე აწი არ გამეორდესო. თავჯდომარე ორატორს წესრიგისაკენ მოუწოდებს. მსჯელობა დასრულდა. სვეგნიცკი ცნობას იძლევა იმის შესახებ, რომ მისი ბროშურა პოლონურ ენაზე, რომელშიც იყო დაბეჭდილი სამი პოლონელი დეპუტატის სიტყვა, შინაურ საქმეთა სამინისტრომ დააკავა და ჩემი ბინაც გაჩხრიკესო. წიგნაკის გამომცემლის წინააღმდეგ საჩივარია აღძრული. წიგნაკის დაკავების მიზეზი ის არის, რომ იქ სხვა დეპუტატების სიტყვები არ არის მოყვანილი. მოთხრობილი ფაქტი საკმაოა, რომ შეკითხვის სისწრაფეს მხარი დავუჭიროთ. ბენიგსენი ოქტომბრისტთა სახელით ეხება შეკითხვას და ამბობს: არავის არ მოუყვანია იმის საბუთები, რომ შეკითხვის სისწრაფე საჭირო იყოსო. აღნიშნეს პრესის არანორმალური მდგომარეობა, ამისათვის საკმაო იყო, რომ შეკითხვა მიიღეს: ამას გარდა შეკითხვის რამდენიმე მუხლი მსჯელობას საჭიროებს. შეკითხვის სისწრაფეს უარყოფენ 185 ხმით წინააღმდეგ 116 ხმისა, იხილვენ ესდეკების შეკითხვას ზოგიერ ორგანოს წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ.

ჩხეიძე. აღნიშნავს, რომ მთავრობის მოქმედება პრესის წინააღმდეგ სისტემატიურათ ხდებაო. ადმინისტრაცია სდევნის მუშათა პრესას. ამ პრესის წინააღმდეგ მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობს. სდევნიან მუშათა პრესას იმის გამო, რომ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელმაც წარმოშვა ბეილისის საქმე, ამჟღავნებს, ნათელზე გამოაქვს. თავჯდომარე სთხოვს ორატორს—ბეილისის საქმეს ნუ ეხებიო. ბურიანოვს მუშათა პრესის წინააღმდეგ რეპრესიების სტატისტიკა მოყავს. აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც გაზეთებს უკანონოთ უყვეს კონფისკაცია. 154 ხმით წინააღმდეგ 84 ხმისა შეკითხვის სისწრაფეს უარყოფენ. შემდეგი სხდომა პარასკევს.

# ახალი ამბავი.

მიწისმოქმედების დეპარტამენტი ქუთაისის საბაღო შკოლას (ფერმის) სამი ათასხუთას ეწეოდა წლიურათ, ეს თითქმის ერთადერთი სახსარი იყო ამ სასარგებლო სასწავლებლის არსებობისა და ამ მცირე თანხით ძლივს გამოდიოდა შკოლა. დღეს, როგორც გავიგეთ, ეს თანხა გაუდიდებიათ ათიათას მანეთამდი, რაც დიდ მოწყალებათ და სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს.

ამავე სასწავლებელს, როგორც გადმოგვცეს, მეორე წყალობაც მოელისო. ქუთაისის გუბერნიას დიდძალი ხარჯი აწვა დარაჯების შესანახი. ეს ფული საერობო თანხიდან იხარჯებოდა. ეს ხარჯი ხაზინამ მიიღო, როგორც ვიცით და იმ გათავისუფლებული თანხიდანაც კარგი შემწეობა გადაიდება ზემო-ხსენებული სასწავლებლისთვისო.

✦ კვირას, 27 ოკტომბერს, სახ. უნ-ტეტის გამგეობა მართავს ლექციების კითხვას. პირველათ გრ. ნასარიძე წაიკითხავს ამ თემაზე: მდინარის, ტბისა და ზღვის წყალი და მათი ქიმიურ-ფიზიკური თვისებები. მეორე ლექციას წაიკითხავს ბ. ალ გარსევანიშვილი საქართველოს ისტორიიდან: საბა სულხან ორბელიანი და მისი კულტურული მოღვაწეობა (1658—1725 წ. დასაწყისი დღის 12 საათზე.

✦ ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმათ, ქალაქის მოურავმა შემდეგი შინაარსის სამძიმრის დეპეში გაუგზავნა გაზეთი „მშაკის“ რედაქციას. ა. ქალანთარის გადაცვალების გამო:

„ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სახელით გულითად თანაგრძნობას ვუცხადებ „მშაკის“ რედაქციას და მთელი სომხის საზოგადოებას, რომელმაც ალექსანდრე ქალანთარის გადაცვალებით დაკარგა ნიჭიერი საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო გამომხატველი თავისი ხალხის ეროვნული იდეალებისა. ქალანთარის შეურყეველი პატიოსანი სამსახური წმინდა მოწინავე იდეებისადმი დე გახდეს სხვებისთვის გზის მ ჩვენებელ მაგალითად.“

✦ გუშინ ქუთაისის ვექილთა საზოგადოებამ შემდეგი დეპეში გაუგზავნა კიევში ბეილისის დამცველებს: „ქუთაისის ვექილები გიგზავნით თქვენ, თავგანწირულ მებრძოლთ ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და უფლებისათვის მხურვალე თანაგრძნობას. გვერწმუნეთ—ამ გმირულ ბრძოლაში ბნელ ძალებთან, რომელნიც სარგებლობენ ხალხის უმეცრებითა და ცრუმორწმუნეობით, ყველა პატიოსანი მოქალაქის სიმპატია თქვენს მხარესაა“.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიის ერთი ნაწილი ზუგდიდშია სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის გასარჩევათ.

✦ დღეს ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის ტეატრალური სექცია მართავს სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენას გ. თუთბერიძის რეჟისორობით. წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი პიესა ე. ჩირიკოვისა „ებრაელები“.

✦ კედელი, რომელიც ჩამოინგრა 24 ოკტომბერს ურიების უბანში და იმსხვერპლა ერთი მუშა იყო დამწვარი სახლის. ასეთი კედლები აქ. კიდევ ბევრია. საჭირო ქალაქის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ მზგავსი უბედურება არ გამეორდეს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე ყურძენი კიდევ ბლომათ შემოდის ფუთი ყურძენი ფასობს 4 აბაზათ. მეტათ ძვირობს სიმიდის ფქვილი. ფუთის ფასი მანეთ ნ ხევრამდი ევიდა.

თ ფ ი ლ ი ს ი.

✦ მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი კვირას, 27 ოკტომბერს, პეტერბურგს მიემგზავრება. როგორც გავიგეთ, მას სახელმწიფო საბჭოს წევრათ ნიშნვენ.

მეფის მოადგილემ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი: რომლითაც შემოღებულ იქნება ახალი შტატი გამომძიებლებისა და მომრიგებელ მოსამართლეებს აღარ დაეკისრებათ ხოლმე გამოძიება, როგორც ეს ახლა არის ზოგიერთ ადგილას, სადაც ცალკე გამომძიებელი არ არის. ამ კანონ-პროექტით წესდება თფილისის ოლქში—28 ადგილი გამომძიებლისა, ქუთაისისაში—26, ბაქოსაში—30, განჯისაში—28, ერევნისა და ეკატერინოდარში სამ-სამი. მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი იქნება: თფ. ოლქში—47, ბაქოსაში—37, ქუთაისისაში—48, 20—განჯაში, 22—ერევანში და 9—ეკატერინოდარის ოლქში.

# დღიური.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ბერხტჰოლდს ინახულებს.

— სერბიასა და ალბანეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

— მექსიკის მთავრობა უფულობის გამო კრიტიკულ მდგომარეობაშია.

— გადაიცვალა პოლონელი მწერალი შტრაშევიჩი.

— ჯავიდ-ბეი ბერლინს მიდის.

— სერბია ავსტრიას უახლოვდება.

— ბულგარეთმა საბერძნეთის მაკედონიიდან ფრაკიაში საქონლის შეტანა აკრძალა.

— პროსალოვის საქმე დეკემბერში როსტოვში გაირჩევა.

# დაუდევრობა.

ყოველი ქალაქი რითმე არის შესანიშნავი, ყოველ ქალაქს რითმე მოაქვს თავი, ან წარსულითა და წარსულიდან დანატოვარი ნაშთებით ამაყობს, ან თავი მოაქვს თანამედროვე კულტურული გაუმჯობესებით. ახლა ვიკითხოთ: ამ ორში რომელს ეკუთნის ქუთაისი? მგონია არცერთს! თანამედროვე რომ არ არის ამას ამტკიცებს კანალიზაცია, განათება ქუჩები და სხვა ათასი. ამ მხრით ქუთაისი უბრალო დიდ სოფელსა გავს. ქუთაისს ადვილათ შეეძლო თავი მოეწონებია თავისი წარსულითა და მისი ნაშთებით მაგრამ ჩვენი დაუდევრობით ამ ნაშთებს ჩვენი საკუთარი ხელით ვანადგურებთ და ვსპობთ, ვსპობთ შეგნებულათ, ერთმანეთს შევეჯერებივართ და ხმის ამომღები-კი არავინ ჩანს. არც ისე უგულო ვართ... პატაგონიელებს რომ რამე მარცხი მოუვიდესთ ქუთათურები საშინლათ დავფაცურდებით, და სხვა თუ ვერაფერი მოვახერხეთ ერთ თანაგრძნობის დეპეშას მაინც გავუგზავნით. ამაზე, იქნება „княжеское“ ან „графское спасибо“ მივიღოთ. ჩვენი ნაშთები რომ დავანგრიოთ ამაზე, აბა, ვინ რათ უნდა შეიწუხოს თავი? ქუთაისს აქვს ძველი ციხე, დღეს მარტო ნანგრევები. სხვაგან რომ სადმე ასეთი ძეგლი იყოს, მისი სურათები მთელ ქვეყანაზე მოეფინებოდა, მთელი საზოგადოებები შესდგებოდა მის გამოსაკვლევად დასაცავათ. ჩვენ-კი ჯერ გალავანი დავანგრიეთ. ბევრს ემახსოვრება—ეპისკოპოზის სახლის ერთი კუთხიდან კედელი ჩამოდიოდა რიონის პირამდი. ეს კედელი ჩანს სადმე დღეს? ჯერ გზის გაყვანის დროს დაანგრიეს ის კედელი, რო...

# ეროვნული საკითხი*)

(„ნარიძის“ წერილების გამო.)

2) ავსტრო-უნგრეთი.

ა) მოკლე განხილვა პოლიტიკური ურთიერთობისა 1848 წ. რევოლუციიდან.

ეროვნული საკითხი რომ ღერძია ისტორიისა, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პოლონეთის ისტორიას გარდა ისტორია იტალიისა, ირლანდიისა, ჰოლანდიისა, ბელგიისა, საბერძნეთისა და მისი მეზობელი სახელმწიფოებისა. მაგრამ თითოეული ხსენებული ქვეყნის ისტორია რომ ცალცალკე გაგვეხილა, მთელი ტომები დაიწერებოდა. ამ ჟამათ კი მსურს აღვნიშნო მოკლეთ მხოლოდ ავსტრო-უნგრეთის ერების თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც ამტკიცებს აგრეთვე სავსებით ჩვენი აზრის სიმართლეს, და რომელსაც, პირიქით, „ნარიძე“ და მისი ამხანაგები იმოწმებენ თავის ყალბ დებულებათა გასამართლებლათ. (!)

1848 წ. რევოლუცია ამ მხრით ბევრს რასმე წარმოადგენს საგულისხმოს.

მარტში 1848 წელს დიდი ერთსულოვნობა სუფევდა: ხალხი ერთ ხმათმოითხოვდა კონსტიტუციას ვენაში, პრაგასა და ბუდაპეშტში. მეტერნიხი გაიქცა საზღვარგარეთ, იმპერატორმა ფერდინანდ მოწყალემ აღუთქვა ხალხს კონსტიტუცია და დანიშნა პასუხისმგებელი სამინისტრო. ხალხის მხიარულობას საზღვარი არ ქონდა. მაგრამ მაშინვე აღინიშნა ეროვნული განხეთქილებაც.

გერმანელები ამბობდენ, ფრანკფურტში მაინზე უნდა იყოს პარლამენტიო; ჩეხები მოითხოვდენ საკუთარ პარლამენტს პრაგაში, მადიარები აგრეთვე თავისთვის ბუდაპეშტში. ბევრს კი უნდოდა, ვენაში ყოფილიყო საერთო პარლამენტი.

პრაგაში ჩეხებმა მოითხოვეს აღდგენა ჩეხიის ისტორიული სამეფოსი, რომელიც შეიცავდა ახლანდელ ჩეხიას, მორავიასა და სილეზიას. ეს სამეფო უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ვენისაგან, რომელთანაც უნდა ყოფილიყო შეკავშირებული მხოლოდ საერთო დინასტიით: ავსტრიის მეფეს უნდა დაედგა თავზე წმ. ვენცესლავის გვირგვინი. ამას ეძახიან ჩეხიის სახელმწიფო უფლებას, რომელიც კიდევაც დაადასტურა ავსტრიის იმპერატორმა 8 აპრილს 1848 წ. და ახლაც ამ რესკრიპტს ემყარებიან ჩეხელნი: ძნელათ შეელევა ერი ერთხელვე მოპოებულ უფლებას.

11 აპრილს 1848 წ. მადიარებმა წარმოუდგინეს იმპერატორს პრესბურგის ლანდტაგის დადგენილება, რომელიც აგრეთვე იქნა დადასტურებული. ამ კანონით თითქმის სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა უნგრეთს. ამ „დამოუკიდებლობის კონსტიტუციას“ ემყარება კოშუტის პარტია.

11 აპრილს ჩეხების მეთაურმა პალაცკიმ გამოსცა მოწოდება ჩეხებისადმი, არ გააგზავნოთ დეპუტატები ფრანკფურტის პარლამენტშიო. და ბოჰემიის 68 საარჩევნო რაიონიდან მარტო 13 დეპუტატი იქნა გაგზავნილი.

მაგრამ 25 აპრილს 1848 წ. გამოცხადდა პილერის დორფის სამინისტროს მიერ კონსტიტუცია ავსტრიის იმპერიისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა, როგორც ბოჰემიის კონსტიტუციას, აგრეთვე უნგრეთისას.

და იმავე დროს გერმანელებმა გაგზავნეს თავისი დეპუტატები ფრანკფურტს, გერმანელთა პარლამენტში.

18 მაისს 1848 წ. იმპერატორმა გამოაცხადა საყოველთაო არჩევანი და დანიშნა დამფუძნებელი საკანონმდებლო კრება, რომელიც შეიკრიბა ვენაში 22 ივლისს 1848 წ. ამ დროს კი ბუდაპეშტში უკვე შეკრებილი იყო დამოუკიდებელი პარლამენტი მადიარებისა. ერთი შეხედვით ეგონებოდა კაცს, ოთხი თვის განმავლობაში რევოლუციამ მიაწია მიზანსო.

1 ივნისს პრაგაში მოხდა სლავების კონგრესი, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენელნი ავსტრიისა, რუსეთისა, ოსმალეთის სლავებისა და პოლონეთისა. აქ ორატორობდა სხვათა შორის ბაკუნინი. მაგრამ ამ კონგრესმა რეაქციას შეუწყო ხელი: სლავებს ისე სძულდათ მადიარები, რომ ტაშს უკრავდენ ელაჩიჩს, ხორვატიის ბანს, რომელიც ამხედრდა რევოლუციონური უნგრეთის წინააღმდეგ.

ვენის საერთო პარლამენტში დიდი დავა ასტყდა იმის შესახებ: რომელ ენაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. და, თუმცა ეს საკითხი ძლიერ ეუცხოვათ გერმანელებს, მაგრამ მაინც უმრავლესობამ გადასწყვიტა თითოეული ორატორის სიტყვა ხუთ ენაზე გადათარგმნილიყო.

19 სეკტემბერს ავსტრიის პარლამენტს გამოუგზავნეს მადიარებმა თხოვნა, დაგვიფარეთ ელაჩიჩისგანო, მაგრამ სლავთა დეპუტატებმა არ მიაღებიეს პარლამენტს მოციქულები.

მუშებმა მოახდინეს არეულობა და მოკლეს მინისტრი. იმპერატორი გაიქცა ოლმიუცს. 20 ოკტომბერს ჩეხთა დეპუტატებმა გამოსცეს მოწოდება, ბრიუნში გადავიტანოთ პარლამენტიო, და წავიდენ ვენიდან. და ამით მოკლეს რევოლუცია. ამ დროს ვინდიშგრეცმა, რომელმაც ოთხი თვის წინათ გაანადგურა პრაგა, დაუშინა ზარბაზნები ვენას, აიღო ქალაქი, შემოიღო სამხედრო წესები და დახვრიტა დეპუტატი რობერტ ბლიუმი და ჟურნალისტები ბეხერი და ელდინეკი.

გლეხები, რომელნიც პარლამენტმა გაათავისუფლა, დამშვიდდენ.

15 ნოემბერს 1848 წ. პარლამენტი მოიწვიეს ერთს პატარა ყრუ დაბაში, კრემზირში. აქ შეიტყვეს, რომ 2 დეკემბერს 1848 წ. იმპერატორმა თავისი 18 წლის ძმისწულს გადასცა მეფობაო.

იტალიაში მოძრაობა ჩააქრო რადეცკიმ, ვენა შეშინებული იყო სამხედრო სასამართლოს მიერ, უნგრეთს კი ანადგურებდენ ვინდიშგრეცისა და ელაჩიჩის ჯარები.

7 ნოემბ. 1848 წ. იმპერატორმა გამოსცა მანიფესტიო. კოშუტის წინააღმდეგ 13 დეკემბერს მადიარებმა გამოსცეს მოწოდება, რომელშიც გამოაცხადეს, იმპერატორი ფერდინანდი ძალით არის გადაყენებულიო, და მტრათ აღიარეს მისი ძმისწული ფრანც იოსები.

კოშუტმა კი უკვე 12 სეკტემბერს 1848 წ. გამოაცხადა თავი დიკტატორათ. ავსტრიის ჯარები დამარცხდენ რამდენსამე შეტაკებაში. ზამთრის ლაშქრობა დასრულდა მადიართა სრული გამარჯვებით. 14 აპრილს 1849 წ. კოშუტმა გამოაცხადა უნგრეთის დამოუკიდებლობა ტრანსილვანიასა, ხორვატიასა, სლავონიასა და დალმაციასთან ერთად. 21 მაისს მთელი უნგრეთი თავისუფალი იყო.

მაგრამ მაგნატები ხელს უშლიდენ კოშუტს. მეორე მხრით ავსტრიის ჯარმაც რამდენჯერმე ზედიზედ დაამარცხა მადიარები. 13 აგვის. 1849 წ. მადიართა უმთავრესი ჯარი დანებდა რუსთა მაშველ ჯარს (პასკევიჩს) ვილაგოშის მიდორთან.

ამ ომში ელაჩიჩი, ხორვატიის ბანი, გადაყენებული 10 ივნისს ფერდინანდის მიერ, მაგრამ მერე კვლავ აღდგენილი მის თანამდებობაზე, ეხმარებოდა ავსტრიელებსა და რუსებს.

პალაცკიო მიხვდა თავის შეცდომას. კრემზირში შეკრებილი შეშინებული პარლამენტი, ან რეიხსრატი, ცდილობდა ჩქარა დაესრულებია კონსტიტუციის შედგენა. სხვადასხვა ერის წარმომადგენელნი შეურიგდენ ერთმანეთს. კომისიამ შეადგინა პროექტი კონსტიტუციის ავსტრიის სახელმწიფოსთვის. და ის დ... უსრულებელი ეროვნული ბრძოლა, რომელიც ღრღნის მას შემდეგ ავსტრია... არ იქნებოდა, ხსენებულ კონსტიტუცია რომ ღირსებოდა დღის სინათლე... კანონათ გამხდარიყო. მაგრამ მთავრობა შეუშალა ხელი უკანასკნელ კრე... ყრას, დაითხოვა რეიხსრატი 6 მარ... 1849 წ. და გამოაცხადა თავისი, ნაბ... ძები „კონსტიტუცია“, რომელიც, რ... საკვირველია, სასაცილოთ აგდება იყ... კონსტიტუციისა.

31 დეკემბერს 1851 წ. ეს „კონსტიტუციაც“ უკან დაიბრუნა ბიუროკ... ტიამ და გამეფდა საშინელი აბსოლუ... ტიზმი, რომელიც გაგძელდა ათ წელ... ამ დროს კიდევ უფრო გამწვავდა ერო... ნული შუღლი, რადგან ყველამ კ... უფრო შეიძულა გერმანელები მათი მ... ხელეების მიერ ხალხისა და საზოგადო... ბის შევიწროების გამო.

1859 წ. საფრანგეთმა და იტალია... ამარცხეს ავსტრია. ამან გამოიწვია ლიბე... რალური მოძრაობა. 20 ოკტომბერს 186... წ. იმპერატორმა გამოსცა აგრეწოდებუ... „ოკტომბრის დიპლომი“ და მოიწვია პი... ველ მინისტრათ გრაფ გოლუხოვსკი.

გოლუხოვსკის კონსტიტუცია პოლი... ტიკური დეცენტრალიზაციის პრინცი... იყო დამყარებული. დიდი უფლებანი მ... ენიჭა თითოეული პროვინციის ლანდ... ტაგს. საიმპერიო მთავრობას აღარ უნ... ყოლოდა შინაგან საქმეთა, იუსტიცი... და განათლების სამინისტროები, მაშა... დამე, სასამართლოსი, პოლიციისა... სწავლაგანათლების საქმეები გადადი... მთლათ ადგილობრივი პარლამენტე... ხელში. და ეს კონსტიტუცია, ცხადი... ბევრი მხრით უფრო რადიკალური... დემოკრატიული იყო, ვიდრე ის, რო... ლიც ენატრება „ნარიძეს“, რომელ... სწავლის მეთოდის დაკანონების უფლ... ბაც კი არ უნდა აღირსოს ამიერკავკ...

*) იხ. „იმერეთი“ 175-ე №

ლიც ვერ დაანგრია მტრის ტყვია-წამლმა, შეიძლებოდა კი ამ კედლის შენახვაც და გზის გაყვანაც ისე, რომ გზას ერო ლამაზი და უკეთესი იქნებოდა. დეს თუ გნებავთ ამ კედლის კვალს აგნოთ, სხვადასხვა სახლის კედლები ნდა სძებნოთ. პრაქტიკულმა ქუთათურებმა ეს კედელი თავისი საკუთარი სახლის კედლებათ გამოიყენეს. „სოფელი ახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხო"-ო. თუნდა ძველი საქმეა, რა ემართება ეს თვითონ ციხის ნანგრევებს? დამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქ. გორაზე არ აშენებულა არცერთი ხლი, რომ ციხის ნანგრევების ქვები ეხმაროსთ მასალათ. რაღა შორს წავდეთ. ბევრს ემახსოვრება, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ეპისკოპოზის ბაღს ანის მოაჯირი ქონდა, დღეს კი ქვის ლავანი აქვს. დაუკვირდით ამ გალავანსა და შეამჩნევთ—შიგ ბევრს ჩუქურთმიან ქვებს, ბაგრატის ტაძრისას და ციხიდან მოტანილს. სასაფლაოებიც კი არ ეუნდვიათ. ხშირათ შეხვდებით გალავანში ქვას წარწერით: „აქ განისვენებს" სხვა. ჩვენ ციხეს მერცხლის ბუდესავით გარს შამოეწკაპენ სხვადასხვა მეპატრონე და ციხის ქვითავე ააგეს სახლები. რჩა მხოლოდ აღმოსავლეთის მხარე, იდან თვალწარმტაცი გადასახედავია იონის ხეობისაკენ, დიდებული გელათი, კასიონის ქედი, დიდებული ბუნება ლის გულივით მოჩანს. დღეს ამ აღმოსავლეთის მხარესაც შემოსკუპებიან რშემო და ციხის ნანგრევებზე სამი ხლი წამოჰკიმულა, ასე რომ, ცოტა ნში გადასახედავათაც ველარ მიბძანდებით. ახლა კიდევ გამოჩენილა ვიღაც ვეური მთელ აღმოსავლეთის მხარეს ნგრევას უპირობს. მუშაობა უკვე უწყია და ჯერ-ჯერობით ძველი გვირაბის არხი დაუნგრევია. ათი წლის მავლობაში ისე გამოცვლილა ციხის ამოები, რომ ველარ მიხვდებით, სად იყო. გაივლის კიდევ ათი წელიწაც და ქვა ქვაზედაც აღარ იქნება. რატის ტაძარს კი გასჩენია პატრონი, რამ რა დააშავა ძველმა ციხემ? თუ ჩვენმა ხელმა უნდა მოსპოს ეს [illegible] რის ტყვია-წამალმა? თამამათ შემიძლია ქვა:—ქუთაისის ციხის ნანგრევები ბაგრატის ტაძრით არაფრით არ ჩამოუდება ჰაიდელბერგის კარლშტაინის, ლოკის ნანგრევებს. საშინლათ აღელდედენ ქუთათურები ვისმე რომ ხელი შეეხო მაგალ. ჰაიდელბერგის ნანგრევებისთვის, შეიძლება პროტესტის დეპეშიც გაეგზავნათ! ჩვენი საკუთარი განძის შესახებ კი, ვნახოთ, ვინ ამოიღებს ხმას? ვ. მ.

# დეპ. ვ. გელოვანის მოგზაურობა.

## დეპუტატი ფოთში.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვ. გელოვანი 17 ოქტომბერს საღამ. მატარებლით ფოთში ჩამოვიდა. დეპუტატს შეხვდნენ ადგილობრივი ინტელიგენცია და მუშები. სადგურიდან დეპუტატი სასტუმრო „კოლხიდაში" გაემგზავრა. იმ ღამესვე რა გაიგეს დეპუტატის ჩამოსვლა სასტუმროს მოაწყდენ მუშათა რწმუნებულები და ადგილობრივ მცხოვრებთა რამდენიმე წარმომადგენელი. მოისმინა დეპუტატმა სხვადასხვა განცხადება და სთხოვა ყველას, მეორე დღეს შემოსულიყვნენ. დელეგაციებთან საუბარმა ღამის 1 საათამდი გასტანა. დეპუტატთან საუბრით ყველა კმაყოფილი დარჩა და დაიშალენ იმ დღეს.

მეორე დღეს სპროიავაკას ხეტყის ქარხნის გაფიცულ მუშათა წარმომადგენელი წარუდგა და აუხსნა მუშათა გაჭირვება. როგორც წარმომადგენელმა აღნიშნა ქარხნის ადმინისტრაციას მეტათ ეძნელება 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, მოთხოვნილებებს ქარხნის ადმინისტრაცია არ აკმაყოფილებს და მოითხოვს მთავრობისგან მუშების მეთაურების დაპატიმრებას. ადმინისტრაციას დაუპატიმრებია თერთმეტი მუშა, ამათგან ოთხს ერთი თვით სატუსაღოში დაპატიმრება აქვს მისჯილი, დანარჩენ მუშებს თავის სოფლებში გაგზავნიან ეტაპით.

დეპუტატმა ჩაიწერა დაპატიმრებული მუშების სახელი და გვარი, აღუთქვა მუშების წარმომადგენელს დაპატიმრებულთა გათავისუფლების შესახებ ზრუნვა.

დეპუტატმა მიიღო მრავალი მასალა იმ მოვლენისა, თუ რა საზღვარს მიაწია რუსი შავრაზმელების პოლიტიკამ ჩვენში. ერთი ასეთი ფაქტია „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების" კანტორაში ქართველ მოსამსახურეთა დაჩაგვრა-გაძევების შესახებ მომხთარი განკარგულება. აქვე მოვიყვან მოკლეთ შინაარსს მოწერილობისას: 1906 წ. მთავარი კანტორა სწერს ადგილობრივი კანტორის აგენტს: „რუსეთის სანაოსნო-სავაჭრო საზოგადოება" ინსპექცია ექსპლოატაციისა № 13 ნ. დ. ადესა, 7 მარტი 1906 წ. კონ[illegible] საზოგადოების აგენტს ფოთში. მივაქცევთ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მთავარ კანტორას განზრახვა აქვს მოახდინოს თქვენ განკარგულებაში მყოფ კანტორის მოსამსახურეთა ადგილობრივი ელემენტების, უმეტესათ იმ პირთა, რომელნიც დღეირიცხებიან საზოგადოების სამსახურში, რუსებით შეცვლა... სასურველია ვიცოდეთ ფოთის სააგენტოში მოსამსახურეთა გაძევების, ან მათ მიერ თავის ნებების შესახებ, როგორც ეს უკვე მოხდა. თქვენ მიერ ამგვარი ცნობების მთავარ კანტორაში გამოგზავნას შემდეგ, უნდა მოუცადოთ მის განკარგულებას შესახებ ადგილების შევსებისა, ან ახალის დანიშვნისა". დირექტორ რჟევსკი. ექსპლოატაციის ინსპექტორი ა. სმირნოვი.

მეორე დოკუმენტი, მთავარი კანტორისგან. კომერციული ნაწილი № 646 ადესა, $^3/_1$ 1910 წ. საზოგადოების აგენტს ფოთში. თქვენი წერილის, 27 გასულ დეკემბრის № 100/ა, პასუხათ, მთავარი კანტორა ამით უფლებას გაძლევთ თქვენ გაადიდოთ შტატი მოსამსახურეთა... მოსამსახურენი უნდა იყვნენ უსათუოთ რუსები, რადგანაც 1903, 1904, და 1905 წლებმა დაამტკიცეს, რომ საზოგადოების ინტერესები უზრუნველყოფილი არ იყო წინანდელი მოსამსახურეების დროსო და სხვაო.

ეს მასალები დეპუტატმა თან წაიღო.

დეპუტატმა ინახულა კუნძულზე მდ. რიონის მიდამოები, სადაც ბევრი ადგილი მოურღვევია წყალს. მოსახლეთა ღარიბი ნაწილი იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო სხვაგან და დაეტოვებიათ მრავალი წლის ნაშრომი ადგილი. აქ დეპუტატს დახვდენ ადგილობრივი მცხოვრებნი: აუხსნეს მათი გაჭირვებული მდგომარეობა, აჩვენეს დანგრეული და წყლიდან ამოთრეული სახლები. დეპუტატმა ურჩია: ახლა, ახალი კანონის ძალით, სახელმწიფო ბანკმა ამგვარ საჭიროებისთვის დახმარება უნდა გაუწიოს ხალხს, ამ მიზნისთვის გადადებულია 18 მილიონი მანეთი, თქვენ სთხოვეთ ქალაქის თვითმართველობას, შეადგენინოს ინჟინერს ხარჯთაღრიცხვა, თუ რამდენი მოუნდება ჯებირის გაკეთებას და აღძრას შუამდგომლობა, როდესაც ასეთი შუამდგომლობა იქნება, მეც მეტი საშვალება მექნება მოვითხოვო ფულის გადადება. დეპუტატმა სთხოვა, ამ საქმის თაოსნობა მიელო ბ. ესაკიას და თან დროზე ეშუამდგომლოს, რათა სხვა მოსახლეები არ წალეკოსო. მოსახლეებმა მადლობა უთხრეს დეპუტატს და ისე გამოეთხოვენ.

შემდეგ დეპუტატი მოელაპარაკა პოლიცმეისტერს მუშების გათავისუფლების შესახებ. პოლიცმეისტერს უთქვამს, რომ იმათი გათავისუფლება გუბერნატორის საქმეაო. ამის გამო დეპუტატმა შემდეგი დეპეში გაუგზავნა პეტერბურგს: სახელმწიფო სათათბირო, კერენსკის. „რუსეთის [illegible] ლის გაფიცვის გამო შეჩერებულია სამასი ამდენივე სპროიავაკას ხეტყის ქარხანაში. უკანასკნელთა გაფიცვა თვეზე მეტი გძელდება. პირველათ ადმინისტრაცია არ ერეოდა საქმეში, ახლა კი დააპატიმრა თერთმეტი კაცი. ამასთანავე ხმარობს ორიგინალურ საშვალებას: ქარხნის კანტორა გაფიცული მუშების პასპორტებს პოლიცმეისტერს უგზავნის. უკანასკნელი თავის მხრით უგზავნის პასპორტებს მაზრის უფროსებს, აპატიმრებს მუშებს და აგზავნის მათ ეტაპით თავ-თავის მაზრაში. მოელაპარაკეთ, სადაც საჭიროა. რაც აქ იყო საჭირო გავაკეთე. გელოვანი".

დასასრულ დეპუტატმა თანამოაზრეთ სათათბიროში მუშაობის მრავალი საყურადღებო ამბავი გააცნო და 19 დილით პირველი მატარებლით ზუგდიდისკენ გაემგზავრა. კომეტა.

## დეპუტატი ზუგდიდში.

ზუგდიდში პირველათ ვ. გელოვანი ზანის საზოგადოების დეპუტაციამ ინახულა, მთავარი სათხოვარი, როგორც ყველგან, აქაც მოუსავლობის გამო დახმარების აღმოჩენაა. გლეხები სჩივიან: „წელს მოსავალი შობამდი არ გაყვება შეძლებულ მცხოვრებთაც. უმეტეს ნაწილს კარგი მოსავლის დროსაც სარჩო რამდენიმე თვეს გვყოფნიდა, ახლა კი სულ დავიღუპეთ, როგორ გავიტანთ თავს ამ წელიწადს არ ვიცითო". მიუხედავათ ასეთი გაჭირვებისა, გლეხები მაინც წინააღმდეგი არიან მთავრობისაგან მოკლე ვადიანი სესხის აღების:—„არ გვინდა, ბატონო, შიმშილით მოვკვდეთ ის გვირჩევნია, დაგვერევიან სტრაჟნიკები, აგვაწიოკებენ, ჩვენს გაჭირვებას არ შეხედვენ, გვაქვს თუ არა გვაქვს, ხარ-ძროხას გაგვიყიდიან და ისე გადაგვახდევინებენ. ეს ჩვენ გამოცდილებით" ვიცითო. ასეთი შიში ტრიალობს არა მარტო აქ, ოდიშში—ყველგან ამასვე იმეორებენ. დეპუტატმა მათ აუხსნა, რომ ახლა დახმარება სულ სხვა საფუძველზე უნდა მოეწყოს. ვცდილობ და ამის შესახებ მოლაპარაკებაც მქონდაო მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე კოკოვცოვთან, რომ სესხათ კი არა, ისე გადასცეს მთავრობამ საჭირო თანხა მოუსავლობიდან დაზარალებული მხარისთვის დასახმარებლათ, და თუ ეს არ მოხერხდა, გძელვადიანი სესხი მოგეცემათ, რომელიც თანდათანობით ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში უნდა გადიხადოთო. ასეთს სესხზე ყველგან სიამოვნებით თანხმდება გლეხობა. შარშან თებერვლის პირველ რიცხვებში ზანის საზოგადოებას უთხოვია დეპუტატ გელოვანისათვის, რომ მას ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე სახელმწიფო ხარჯით გზის გაკეთების შესახებ სენაკიდან მუხურამდი. არ გასულა ერთი კვირა ამ თხოვნის გაგზავნას შემდეგ, რომ განკარგულება მოვიდა: გზის გასაკეთებლათ გამოიწვიეთ გლეხებიო, მთელი საზოგადოება ოცი დღის განმავლობაში მუშაობდა. ახლო სადმე ქვა არ არის ზურგით ქვებს მოათრევდენ. ასეთი გაჭირვებით მუშაობდენ გლეხები, მაგრამ რაკი ზედამხედველი არვინ იყო უვლანოთ ვერა გააკეთეს და გზა დღესაც იმ მდგომარეობაშია, როგორშიც ერთის წლის წინათ იყო. ხსენებულმა დეპუტაციამ სთხოვა დეპუტატებს—მიაქციოს ყურადღება სოფლის გაჭირვებას და იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე—გზა სახელმწიფო ხარჯით გაკეთდეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გზა საჭიროა მთელი მაზრისათვის. ვ. გელოვანს ამის შესახებ დეპეშით უთხოვია მეფის მოადგილისთვის—განეხილა ეს საქმე და საჭირო ზომები მიეღო, რის პასუხათ მეფის მოადგილეს უცნობებია მისთვის, რომ გაიგზავნა განსაკუთრებული კომისია იმ ადგილების დასათვალიერებლათ და მუშაობას მალე შეუდგებიანო.

ეს კომისია აქ თურმე არავის უნახავს და ცუდი გზების გამო აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი. დეპუტატი დაპირდა, როგორც თფილისს ჩავალ, მეფის მოადგილეს ვსთხოვ, რომ გზის გაკეთება თვითონ მთავრობამ იკისროს. ჩემი თხოვნის შედეგსაც შეგატყობინებთო. გლეხები სჩივიან აგრეთვე საექიმო დახმარების უქონლობას: ოცი ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე აქიმი არსად არის და, თქმა არ უნდა, ათასგვარი სენი ამ პირობებში ადვილათ იკიდებს ფეხს მცხოვრებთა ღარიბ ნაწილში განსაკუთრებით, რადგან შეძლებულთ შორიდანაც მოყავთ აქიმებიო.

ჯოლეჯიანელების დეპუტაციამ შეჩივლეს თუთხმეტამდი გლეხი ხიზნები თ. მინგრელსკისა. პირველათ აუწერეს დეპუტატს ჯოლეჯიანის ნიადაგი, მოუსავლობა, მოახსენეს, რომ ქცევა მიწაზე შემოსული სიმინდის რაოდენობა ხუთიდან ათ ფუთს არ აღემატებაო. სიმინდის ტაროები ნამცეცაიოს, ამის დასამტკიცებლათ წარმოადგინეს რამდენიმე ტარო ნიმუშათ. შემდეგ მოუყვენ რა გაჭირვებას ითმენენ თ. მინგრელსკის ვექილისა და კაცებისაგან: მინგრელსკის დაიარაღებული მოხელენი სტრაჟნიკებით დაიარებიან გადასახადების მოსაკრებათ, არ სჯერდებიან მომრიგებელი შუამავლის გადაწყვეტილ კანონიერ გადასახადს და ორ წილათ ახდევინებენ. ხშირათ მომხთარა, რომ ერთი წლის გადასახადი ორჯერ გადაუხდევინებიათ ბევრჯერ მიუმართიათ პოლიციისთვის, მაგრამ პოლიციას მათი შეწყობის ნაცვლათ მინგრელსკის მხარე ეჭირა ყოველთვის და მათრახებით უმასპინძლდება გლეხებს. მაგალითად 1910 წელს მინგრელსკისა და ხიზნებს შორის საბალახოს შესახებ უთანხმოება მოხდა. საბალახოთი ხიზნები მუდამ სარგებლობდენ, მაგრამ ამ წელს ხიზნებს დაუშალეს საბალახოს სარგებლობა. დაიჭირეს რამდენიმე ასი სული საქონელი, დამწყვდეული [illegible] ხებმა მორთეს ბღავილი. [illegible] მოუთმენელი იყო, [illegible] შევრათ იყვნენ [illegible] კითხეს და გამოშვება სთხოვეს. ყველა დაიჭირეს, როგორც მოწინააღმდეგენი, და ზუგდიდში წარმოუდგინეს პოლიცას. პოლიციამ ყველა დაამწყვდია ადმინისტრატიული წესით თუთხმეტი დღის ვადით ამათგან რამდენიმე დაავათმყოფდა, ერთი კიდეც გარდაიცვალა. მოხსენებული საბალახოს შესახებ ხიზნებმა სუდის წესით საჩივარი აღძრეს. ამ საჩივარმა სენატამდი მიაღწია. სენატმა საქმე ხიზნების სასარგებლოთ გადასწყვიტა, ე. ი. თავისუფალი მიწები მისცა ხიზნებს საბალახოთ, მაგრამ მინგრელსკიმ მერე სხვა ხერხი იხმარა. ყველა თავისუფალი მიწები თავის მოსამსახურეებს გადასცა იჯარით, თითქოს ნამდვილი მოიჯარადრენი ყოფილიყვნენ და ამ ხერხით საბალახოს ბაჟი დაადვეს წლიურათ თითქმის 6000 მანეთამდი ღებულობს. ხიზნები კი ვერ სძლებენ ამდენის გადახდას და იძულებული ხდებიან დამწყვდეული საქონელი გაჭირვებით კვებონ. ამას ისიც რომ დავსძინოთ, რომ მიწა მოუსავლიანია და იძულებული ვართ საყანე ადგილები სამურზაყანოში და სხვა მემამულეებთან ვეძიოთ, ადვილი წარმოსადგენია ჩვენი აუტანელი მდგომარეობა. გაგონილი გვაქვს, რომ ხიზნების საქმე სათათბიროში გაირჩევა ამ მოკლე დროშიო, რომ მიწებს შეგვასყიდვიებენო, ეს ნამეტანი სასურველი საქმეა, მაგრამ მიწის ღირებულობა თუ დიდი იქნა, მაშინ დედაბუდიანათ უნდა გადავებარგოთ სადმე, მხოლოდ საით, ჩვენ არ ვიცით. სიმინდის მოყვანის გარდა, სხვა სამუშავერი ჩვენში არ არის, და არც ვიცით. შკოლები არ გვაქვს ისეთი, რომ მეურნეობა ვისწავლოთ. პირუტყვის ყოლა არ შევვიძლია, რა უნდა ვქნათ? დაგვრჩენია, რომ შიმშილით ამოვსწყდეთ, თუ კი არ გვიშუამდგომლებთ და არ დაგვიფარავთ ამოწყვეტისაგან. ვერავინ ვნახეთ ჩვენი შემწყნარებელი, ყველას აბუჩათ აგდებული ვყავართ, ისე მოგვბეზრდა თავი, რომ ვინმემ გვითხრას ჩვენი გაჭირვება, ვერ მოვუყვებით, რადგან დახმარების მაგიერ, ყოველთვის მათრახით გვიპასუხებენ, დაშინებული ვართ, ბატონო, აგერ პირუტყვებსავით დავმუნჯდებით. გლეხობა გათავისუფლდა ბატონყმობიდანო, ამბობენ, ჩვენ ეს არ გვიგრძვნია, ჩვენ ბატონ-ყმობაში ახლა ჩავარდით და ვსცდით ყოველ მის სისასტიკეს. როგორც ჩვენი გლეხობის არჩეულს, ჩვენს წარმომადგენელს და ერთადერთ საიმედო პირს გთხოვთ, ჩვენს გაჭირვებას უშველოთ რამე, ყოველი ჩვენი გაჭირვება გააგებიოთ მთელი რუსეთის გლეხობას და სახაზინო საქმეების გარჩევის დროს, ჩვენი მდგომარეობა მხედველობაში მიიღოთ. მანამდი-კი დაგვიფაროთ უსამართლო გადასახადებისა და მინგრელსკის კაცების აწიოკებიდან. ყოველი ჩვენი სიმართლე მომრიგებელ მოსამართლეს მოეხსენება და იცის კიდევაც, თუ კი შეგვიბრალა და არ მოერიდა თ. მინგრელსკის.

# დღეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

**ბეილისის საქმე.**

ბრალმდებლის აზრით ჩებერიაკის ქალის მოქმედება გამოურკვეველია და ძნელი გამოსაცნობია ის წყარო, საიდანაც გავრცელდა ხმა ამ ქალის შესახებ. მე მასზე არ შევჩერდები, რადგან ის დამნაშავის სკამზე არა ზის ბეილისთან ერთად. შემდეგ ბრალმდებელი გადადის ზაიცევის ქარხნის მდგომარეობაზე, რომლის გარშემო მცხოვრებთა შორისაც ცხოვრობდა მარტო ექვსი ებრაელი. აქ ცხოვრობდა ბეილისიც, რომელთანაც მოდიოდა შნეერსონი ებრაელების ხახმის შვილი. გამოძიება მიენდო კრასოვსკის, რომელსაც ეს საქმე უნდა ეწარმოებია დამოუკიდებლათ. მიცუკი კიდევ აწარმოებდა გამოძიებას და იძიებდა ივანოვის მოქმედებას. მონაწილეობას იღებდენ გამოძიებაში გარეშე პირნი, უმთავრესათ „კიევსკაია მისლის" თანამშრომელნი"—ებრაელები, რომელნიც იმას კი არ ცდილობდენ, ნამდვილი დამნაშავე ამოეჩინათ, არამედ სწორი გამოძიების ნაცვლათ გზას ხლართავდენ, რევდენ მას. ამ გარეშეთა შორის ამოჩნდა რამდენიმე პირი, როგორც მაგალითად სტუდენტი გოლუბევი, რომელიც მტკიცე სურვილითა და სიყვარულით იყო გატაცებული, ხელი შეეწყო კრასოვსკის გამოძიებისთვის და ნამდვილი სიმართლე გამოერკვია. კვლევა-ძიებისა და ჩხრეკის დროს ყველანაირი ვერსია მოიგონეს: მაგალითად, „პოსლედნია ნოვოსტის" რედაქტორმა, მონათლულმა ებრაელმა განაცხადა:—მკვლელობა მოახდინეს ბოშა ხალხის მოთხოვნილებით, რომ ქრისტიანი კაცის სისხლი ეშოვათო. ყუ-

---

სეიმს. მართალია, არჩევანი არ იყო მოკრატიული, მაგრამ ამას ხომ მცირე შვნელობა აქვს ლანდტაგთა დამოუკიდებლობასთან შედარებით.

ეს კონსტიტუცია უარყვეს და, მაშასადამე, დამარხეს მადიარებმა.

მაშინ იმპერატორმა მოიწვია უკიდურესი ცენტრალისტი შმერლინგი და 26 თებერვალს 1861 წლ. გამოსცა ცენტრალისტური კონსტიტუცია. ლანდტაგთა ლება ძლიერ იქნა შეკვეცილი. ე. ი. ლანდტაგებს მიენიჭა მხოლოდ ადმინისტრაციული თვითმართველობა, რომელიც ს იდეალი ბ. „ნარიძისა". დიახ! შმერლინგის კონსტიტუციას ვერ გასცილდა ამ ჩვენი „დემოკრატიის" რადიკალიზმი!

მადიარებმა განაცხადეს პროტესტი. შმერლინგი ამხედრებდა ხორვატებსა და ბებს მადიარების წინააღმდეგ და ბოლოს დაითხოვა უნგრეთის ლანდტაგი.

პოლონელთა ლანდტაგმაც (ლვოვისამ) პროტესტი განაცხადა და მოითხოვა გოლუხოვსკის კონსტიტუციის აღდგენა.

პირველ საკანონმდებლო კრებას ბოიკოტი გამოუცხადეს, დაესწრო დეპუტატის მხოლოდ ნახევარი.

პარლამენტის მეორე სესიას (კრებებს) ტო 120 დეპუტატი დაესწრო. და ვე გაისმოდა პროტესტები ყოველი მხრიდან.

შმერლინგმა სამხედრო წესები შემოიღო უნგრეთსა და გალიციაში, მაგრამ ოს, რომ ვერაფერს გახდა, გადადგა (27 ივლისს 1865 წ).

დანიშნა პირველ მინისტრათ ბელკრედი, რომელმაც მთლად გააუქმა თებერვლის კონსტიტუცია (2 სეკტემბერს 1865 წ.). და როგორც მინისტრის ბახის აბსოლუტიზმმა გამოიწვია ავსტრიის შეტაკება მაჯენტთან და სოლფერინოსთან 1859 წელს, აგრეთვე 12 თვის აბსოლუტიზმმა დაამარცხა ავსტრია სადოვასთან 1866 წელს.

ეს დამარცხება საშინლათ გაეხარდათ ავსტრიის სლავებს, რადგან ეგონათ, რომ სამუდამოთ გაწყდებოდა კავშირი გერმანიისა და ავსტრიის გერმანელებს შორის. მადიარებმა კვლავ მოითხოვეს დამოუკიდებლობა და თავის მოთხოვნას ზედ დაუმატეს მუქარა. 6 თებერვალს 1867 წ. გადადგა ბელკრედი და მოიწვიეს პირველ მინისტრათ საქსონიის მინისტრი ბეისტი, რომელმაც დაამყარა ორმაგი იმპერია ავსტრო-უნგრეთისა.

ავსტრიაში ავსტრიის გერმანელებს მიენიჭათ უპირატესობა, უნგრეთში მადიარებს. ხორვატები და სერბნი დაუმორჩილეს მადიარების პარლამენტს.

ჩეხიაში და მორავიაში, როგორც ვსთქვით, უპირატესობა მიენიჭათ გერმანელებს. ჩეხიის ლანდტაგში უმეტესობა შეადგინეს გერმანელებმა. გაიმართა ჩეხის მიერ საპროტესტო მიტინგები. ჩეხიაში შემოიღეს საგანგებო წესები.

ამ დროს ავსტრიის რეიხსრატმა შეადგინა 1867 წ. დეკემბრის კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენს შესწორებულ თებერვლის კონსტიტუციას და ზოგიერთი ცვლილებით მოქმედებს დღესაც.

და მას შემდეგ არ შეწყდარა ბრძოლა ავსტრიის ერთა შორის.

1872 და 1885 წ. კანონებით რეიხსრატის დეპუტატების არჩევანი უახლოვდება დემოკრატიულს.

ბადენის საარჩევნო კანონმა 1896 წ. დააწესა მეხუთე კურია, რომელიც იყო დაფუძნებული საყოველთაო არჩევანზე. მაგრამ ოთხი კურია, მათ შორის მემამულეთა და ვაჭართა, კიდევ არ იყო გაუქმებული. ბოლოს, 1906 წელს იქნა შემოღებული საყოველთაო არჩევანი: ეგონათ, ხალხი სოციალდემოკრატებს აირჩევს და ეროვნული ბრძოლა განელდებაო. მაგრამ ეროვნული ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

მთავრობას არ შეეძლო გადაეკიდებია ყველა და შეურიგდა პოლონელებს: გალიციის ლანდტაგს მიანიჭა უფლება ყოლოდა თავისი წარმომადგენელი ავსტრიის სამინისტროში და პოლონელ არისტოკრატიას უბოძა უპირატესობა გალიციის ლანდტაგში (1869 წ.)

მაგრამ პოლონელები მაინც არ არიან კმაყოფილი. ჩეხების უკმაყოფილებას ხომ საზღვარი არ აქვს.

და ბრძოლა ჩეხთა და გერმანელთა შორის, პოლონელთა და რუსინთა შორის, მადიართა და ხორვატთა შორის, მადიართა და გერმანელთა შორის, იტალიელთა და სლავთა შორის შეადგენს ავსტრიის პოლიტიკური ისტორიის ღერძს.

აქიდან ცხადია, რომ ეროვნული საკითხი ძირითადია და არა მესამე ხარისხოვანი, როგორც ბძანებენ ბ. „ნარიძე" და მისი ამხანაგები.

ვეცდები დავამტკიცო თითოეული ერის პოლიტიკური ცხოვრების ცალცალკე განხილვით, რომ შესაძლებელია ეროვნული შერიგება და სოლიდარობა ბურჟუაზიულ წესწყობილებაშიც და, მაშასადამე, არ არის მართალი „ნარიძის" აზრი (?), ვითომ შეუძლებელია ერთა შორის ძმური კავშირი, მშვიდობა, ვიდრე არსებობს ბურჟუაზია.

და ფაქტები, რომელსაც აღვნიშნავ, ცხადათ დაამტკიცებენ აგრეთვე ორს რასმე: 1) ერები არ ეთქვიფებიან, როგორც ბ. „ნარიძე" ფიქრობს, და 2) როგორც შპრინგერი ამბობს, შეუძლებელია გლეხობამ დაკარგოს ახლო ევროპაში თავისი ეროვნული ვინაობა. (წყაროები: 1) „პოლიტიკური ევოლუცია ეროვნებათა ავსტრო-უნგრეთში" შპრინგერისა კრებულში: „ფორმები ეროვნული მოძრაობისა თანამედროვე სახელმწიფოებში". 2) ჰელუგ-გარტუნგ: „მსოფლიოს ისტორია". 3) ლოზინსკი: „ეროვნული საკითხი და და პოლიტიკური პარტიები ავსტრიაში" **ისარი.**

(შემდეგი ქნება.)

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
**ხ. ხრისტოდულიდის**
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი ა/წ. შეუკვეთს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.
შეკვეთის დროს ... და წარმომადგენელს ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩაზე
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ... ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თო... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10


რადღება მიაქციეთ ამ გარემოებას, რომ მონათლული ებრაელი ამბობს: ბოშა ხალხში არის ისეთი ცრუმორწმუნეობა გავრცელებული, რომლის ძალითაც ადამიანის სისხლს ხმარობენო და რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი ცრუმორწმუნეობა ებრაელებსაც ქონდესთ? შემდეგ ჩნდება წმინდა ბიბლიური ლეგენდა რაღაც „წკეპლებზე". ვინმე ტორეპეცკაიას ესმის ქუჩაზე ვინმე მთვრალი უცნობი ქალისგან ლაპარაკი უცნობ ყმაწვილთან წკეპლებზე, რომლის შესახებაც ლაპარაკი მოუვიდა ჩებერიაკისას ანდრიუშასთან—ეს მტკნარი სიცრუე და განზრახ მოჭორილიაო. ივლისში კრასოვსკი მიდის ზაიცევის მამულში, სადაც ესაუბრება დუბოვიკს ქარხნის მართველს. ახდენს რაღაცნაირ ჩხრეკას და მათ შორის ბეილისის ბინასაც გაჩხრიკავს, სადაც ვერავითარ საეჭვოს ვერ ამოაჩენს. 23 ივლისს ბეილისს დააპატიმრებენ, 3 აგვისტოს ჩვენებას ჩამოართმევს კრასოვსკი და 29 კი კრასოვსკი ბეილისის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს. მან ამ საქმეში თავისი ისტორიული როლი შეასრულა. დაამტკიცა, რომ მკვლელობა არ მომხდარა არც გამოქვაბულში და არც „სლაბოდკაში". მან ამოაჩინა, რომ ანდრიუშა სხვა ბავშებთან ერთად თამაშობდა აგურხანის მოედანზე (მაიალაზე). ამ დროს ბეილისმა ბავშები დააფრთხო, დაიჭირა ანდრიუშა და წაათრია ფეჩისკენ. ბრალმდებელმა ვერა ჩებერიაკის შესახებ სთქვა,—კრასოვსკიმ თავისი გამოძიებით ამოაჩინა, რომ ვერა ჩებერიაკის ბეილისთან კავშირი ქონდაო. კრასოვსკის აზრით არ ქონდა მკვლელობა ბეილისისათვის დაებრალებიაო, ამბობს ბრალმდებელი, და თუ ბეილისი დაატუსაღა—მას უნდოდა ამით დაემტკიცებია, რომ მკვლელობა ვითომ ებრაელმა ამოაჩინაო. მისი მოქმედება ორპირობაა. ... გამომძიებელს უცხადებს: მკვლელობაში ბეილისი მონაწილეობს, ბრაზულის-კი ეუბნება: დაატუსაღეს სრულიად უდანაშაულო კაციო. კრასოვსკი ატუსაღებს შემდეგ ვერა ჩებერიაკისას და სურს მონაწილე გახადოს ბეილისთან ერთად და როცა ის დაშორებულია თავის ბავშებს, მიდიან ბავშებთან მაძებრები, რაღაცა მიაქვთ, ჰამოკითხვენ, აძლევენ კამფეტს, რომლის შეჭმას შემდეგაც ბავშები ავათ ხდებიან და იხოცებიან. შეიძლება ისინი არ მოუწამლავთ, მაგრამ კი ისინი იყვენ თვალით მნახველი ამ ბოროტმოქმედებისა. ეს საიდუმლოება ჟენიამ თან ჩაიტანა სამარეში. ამას შემდეგ ბრალმდებელი გადადის მოწმეების, დიაკონოვის, მალიცკის, პავლოვიჩის შვაჩკოსა და ვიშემირსკის ჩვენებაზე. ის აღნიშნავს, რომ კრასოვსკის ეჭვი არ აქვს, რომ დიაკონოვებისა ცრუობენ. ცუდმა მოწაფე ქალებმა, განსაკუთრებით ქსენიამ დაამტკიცა სიყალბე მათი ჩვენებისა. მოთხრობა სიზმრებზე, მასკებზე და საიდუმლო შეხვედრებზე იწვევს მხოლოდ სიცილს, მაგრამ არ დაგავიწყდესთ იუშჩინსკის სახე ნელნელა ქრება. ჩვენს წინ გაიარა იმდენმა ჭორმა და ცილისწამებამ, რომელიც იწვევს ჩვენში გრძნობას მწუხარებისას და მეტს არაფერს. დიდი თავის დაჭერა და ხასიათის სიმტკიცე უნდა ქონდეს კაცს, რომ გულგრილათ გადაიტანოს ამდენი სიყალბის ჩვენება. და იმ დროს, როცა გიხდება დაამტკიცო სიცრუე, უეჭველია კაცი დამშვიდებით ვერ იქნები. შემდეგ ბრალმდებელი ეხება შვაჩკოს ვერსიას. სოფიის ტაძრის გაცარცვის საქმეში ანდრიუშას მონაწილეობა მოსაწონი არაა, ამას შესახებ კრასოვსკი არას ამბობს. ბრალმდებელი აღელვებით იძახის: ნუ შეეხებით, მის საფლავს, ამით ძირს სცემთ ბრალდების გამოაშკარავებას. გამოძიება, რომელიც ბრალმდებლის მონაწილეობის მიუღებლათ ხდებოდა, ჩემის ფიქრით, საჭირო იყო ხელახალი გამოძიება და ეს გამოძიება მიენდო პეტერბურგის საგანგებო გამომძიებელს მაშკევიჩს, რომელმაც თავისი ენერგიის წყალობით დაიწყო გამოძიება თავიდან და მოახერხა ყველას მამულში მიყვანა. მთავრობას, აცხადებს ბრალმდებელი, არ სურს დამალოს რამე. თუ თქვენ სთვლით დამნაშავეებათ სიგნაევსკის და მის კამპანიას, მთავრობა მათ მისცემდა პასუხის გებაში, მაგრამ მათი უდანაშაულობა დამტკიცდა. იმათ ბრალი ედებათ მარტო იმაში, რომ ქურდებია. ჩებერიაკის გვსსია ქურდების შესახებ დაეცა დაუბრუნებლათ და ყოვლად შეუძლებელია სიგნაევსკის და მის ამხანაგებს ბრალი დავსდვათ ანდრიუშას სისხლში. მისი სისხლი სხვის ხელშია. ბრალმდებელი დაასკვნის, რომ ყოველი ცდა მეთაურთა, რომელთა ხელმძღვანელიც მარგოლინია, უნაყოფო იყო. კვლევა ძიება საითაც არ უნდა წაეყვანათ—მას ერთი გზა ქონდა—ეს ზაიცევის მამულია, საიდანაც იწყება ბოროტმოქმედების სათავე. და ან ვის რათ უნდოდა ანდრიუშას სისხლი? პროფესორი სიკორსკი და სხვა ექსპერტები მკვლელობის ვერსიას ჭკვადაკარგული პსიხოპატებისაგან უარყოფენ და ამტკიცებენ, რომ მკვლელობა მოხდა წინასწარი, მოფიქრებული განზრახვითა და პლანით. მოვიგონოთ ანდრიუშას ცხოვრება ზაიცევის მამულში, ამბობს ბრალმდებელი, ის იყო სათნო ყმაწვილი, სიავმოყვარე, ცნობის მოყვარე, არავის ემდუროდა, ბევრი მეგობრები ყავდა, იცნობდა ბეილისის შვილებს, მისი კარგი მეგობარი იყო ჟენია ჩებერიაკი, გვიან გაეცნობა გერშკ არენდატორის შვილს. ის ფაქტი, რომ ანდრიუშას აძლევენ თითს, ბრალმდებლის აზრით საყურადღებოა. გამოძიებამ ამოაჩინა, რომ ანდრიუშას თვალს ადევნებს ვინმე ქერა ებრაელი, დამტკიცდა, რომ ზაიცევის მამულში მოდიოდა შნერსონი, ელაპარაკებოდა ანდრიუშას, პირდებოდა მას მამის ნახვას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იყო წასული. არენდატორის შვილთან მოდიოდა ებრაელი ტარტაკოვსკი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ანდრიუშა, რომელიც შემდეგ გამოურკვეველი მდგომარეობით მოკვდა. ანდრიუშას ძლიერ უყვარდა ნაჩუქარი თოფი და წამალი. წამლის ფული არ ქონდა და ამბობდა: ხვალ წავალ და კეთილი ადამიანებისაგან უფულოთ ვიშოვი წამალსო. შესაძლებელია ეს კეთილი ადამიანები იყვნენ ბოროტი და იმის ბოლოს მომღებნი. 12 მარტს დილით ანდრიუშამ შეჭამა საჭმელი, გამოვიდა წიგნებით, შეიძლება ფეხით მივიდა, შეიძლება ფაიტონით, მაგრამ 8-ში დილით, ანდრიუშა, რომელიც არასდროს არ უშვებდა გაკვეთილებს, მთელმა რიგმა მოწმეებისამ ნახეს ლუკიანოვკაში. აშკარაა—წამლის შოვნის სურვილმა შეაცდინა ის არ წასულიყო სასწავლებელში. შახოვსკაია ხედავს ანდრიუშას ჟენიასთან ერთად, როცა ისინი კამფეტს სჭამდენ, შემდეგ კიდევ ხედება შახოვსკაია მათ, თუმცა ამ მოწმის ჩვენებას არ შეიძლება დავენდოთ სრულებით. ჟენიამ უთხრა შახოვსკის, რომ ვერ ვისეირნეთ, რადგანაც ერთმა შავ წვერულვაშა კაცმა დაგვაფრთხოც. შესაძლებელია, შახოვსკებმა ბევრი რამ იციან, მაგრამ შიშის გამო მალვენ. როგორც უნდა საკვირველი იყოს—უკანასკნელი ანდრიუშას სიცოცხლის წუთების მნახველები ბავშები არიან. ბევრმა არ იცის, როგორი დაკითხვა უნდა ბავშებს. მაგალითად, როდესაც გამომძიებელმა უხერხულათ კითხა ჟენიას, ის გაჩუმდა. გოლუბევს კი ყველაფერი უამბო მათი სეირნობისა მიალეში, პოლიციამ მოახერხა შეეტყო ბავშებისაგან, რომ ისინი დასრიალობდენ მიალეში, დააფრთხო ბეილისმა და წაათრია ანდრიუშა.

## რ უ ს ე თ ი.

**პოლტავა.** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა უკრაინელი მგოსნის კოტლიარევსკის 75 წლის თავზე დღესასწაული გადაიხადოს.

**ცარიცინი.** შავიჭირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის მეორე სხდომაზე გადასწყვიტეს: შავჭირთან ბრძოლის დროს იმ ღონისძიებას მიმართონ, რა ღონისძიებასაც მანჯურიაში მიმართეს.

**ნიკოლაევი** ნიკოლაევის განაპირათ. ველში გაცარცვეს მემამულე არკარი. წაართვეს 50 ათას მანეთად ღირებული ბრილიანტები.

## უ ც ხ ო ე თ ი.

**ტოკიო.** იაპონელმა ელჩმა პეკინში იაპონიის მთავრობისაგან დავალება მიიღო იმის შესახებ, რომ ჩინეთის მთავრობისაგან ზარალი 900,000 მანეთი აიღოს, რომელიც ჩინელებმა იაპონელებს ნანკინში მიაყენეს.

**სტამბოლი.** ათინიდან რუმინიის გემი მოვიდა. სამხედრო მთავრობამ აქ ამ უკანასკნელ ხანებში ბერძნების სამი გაზეთი დახურა.

**ბერლინი.** საღამოს ექვს საათზე ბელგიის მეფე მოვიდა.

**ტრიესტი.** ოთხი დღის ავათმყოფობას შემდეგ გადაცვალა გემი „სოფიას" მუშა, რომელსაც შავიჭირის ნიშნები აღმოაჩნდა. გემს დეზინფექცია უყვეს.

**რომი.** „ტრიბუნა" სწერს: საფრანგეთიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ლონდონის კონფერენციის დადგენილებათა ასრულების შესახებ საფრანგეთი სრულიად ეთანხმება იტალიასა და ავსტრო-უნგრეთს. ყველა სახელმწიფოს ელჩები ერთ აზრს დაადგნენ. უნდათ, რომ ევროპის სახელმწიფოთა გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანონ. კონფერენციის გაგძელება არ არის საჭირო. აგვისტოში მომხდარ კონფერენციის დადგენილებაც არ უნდა შეიცვალოს.

**თავრიზი.** რუსეთის საელჩოს წევრები და მრავალი სხვა დაესწრო გაფრენას. სპარსეთი პირველათაა, რომ აერში ფრენა მოაწყვეს.

**სოფია.** გუშინ ხოლერით ავათ არავინ გამხდარა.

**პარიზი.** კოკოვცოვმა პარიზში გზათ გავლის დროს დაათვალიერა ის ადგილი, სადაც კატასტროფა მოხდა დაშავებულთა ოჯახს შესწირა ხუთასი ფრანკი, კოკოვცოვი ხუთშაბათს ბარტუს ნახავს, პარასკევს რესპუბლიკის პრეზიდენტს და პაშინსაც.

**ვენა.** „სტეფანის" სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, ავსტრიის საპასუხო ნოტა საბერძნეთის მთავრობამ დღეს გადასცესო. ბერძნებს ბრალათ ედებათ საერთაშორისო კომისიის წინააღმდეგ ზომების მიღება.

რედაქ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**


კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ
(ქუთაისში) მიმდინარე წელს ხელი შეუწყო მრავალს სასალხო ბიბლიოთეკას წიგნების არჩევითა და გამოწერით. კვლავ განაგრძობს ამასვე—ადგენს ბიბლიოთეკებს და აძლევს წიგნებს მეტათ სალავათიანი პირობებით!

აქვე მოიპოვება შემდეგი წიგნები:
1. გუთანი, ქართული სახელმძღვანელო — — ფ. ყდით 17
2. ქვარიანი, საქართვ. ისტორია 2
3. ყუბანეიშვილი, სღვთო სჯული 6
4. ნიკოლაიშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა — — 1
5. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა 3
6. მისივე, მოკლე ქართ. გრამატ. 1
7. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა 10
8. დათეშიძე, ქართული დედანი 5
ყველა ამ წიგნზე დათმობა 25 პროცენტია.

მევენახეთა საყურადღებოთ!
1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.
ამერიკული ვაზის სანერგე „კლო ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

ახალი უვნებელი საშვალება რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი"
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათო.

ხრესილში.
სამკურნალო აბანო
ძვირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
აქმარი ... თანამედროვე მოწყობილებით.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელ საჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65. № 12.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.